



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

საქართველო თვის პროგნოზი

2025

ინფლაცია	3
საბანკო სექტორი	5
საგარეო სექტორი	7
სავალუტო ბაზარი	11
ფულადი ბაზარი	14
მონეტარული აგრეგატები	15


“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ინფლაცია


ინფლაცია სამიზნე 3 პროცენტთან მარჯვენელთან ახლოს ნარჩუნდება. მარცხი წლიურმა ინფლაციამ 3.5% შეადგინა, ხოლო თებერვალთან შედარებით ფასების საერთო დონემ 1.1%-ით მოიმატა. ინფლაციის ზომიერი მატება მეცნილად სურსათს უკავშირდება. კერძოდ, გასულ თვეს პურის გაძვირებამ სურსათის ინფლაცია გაზარდა. ასევე საერთაშორისო ბაზრებზე გაზრდილი საკვები სურსათის ფასები ადგილობრივ ბაზარს გარკვეულწილად გადმოეცა.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მალალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომაცარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 2.4% შეადგინა.

თვის ინფლაცია 1.1% (მნიშვნელოვანი წვლილები)



წლიური ინფლაცია 3.5% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

მარცხი გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მნიშვნელოვანი პურის 7.2%-იანი გაძვირება იყო. ამან თვის ინფლაციაზე 0.3 პპ-იანი გავლენა იქონია. აღსანიშნავია კარტოფილის და შოკოლადის გაძვირება, რომელთა ჯამური გავლენა ინფლაციაზე 0.2 პპ იყო.


წლიურ მრჩილში, როგორც აღვნიშნეთ, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის 6.2%-იანი გაძვირება მოქმედებდა, რამაც ინფლაცია 2.0 პპ-ით გაზარდა. სურსათიდან გამოსარჩევი ზეთის, პურის და მწვანილის გაძვირება იყო (ჯამური გავლენა ინფლაციაზე 0.8 პპ). ინფლაციის შემცირებაზე მოქმედი პროდუქტებიდან გამოსარჩევი ინტერნეტის (-0.4 პპ) და ვაშლის (-0.1 პპ) გაიფხება.

მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი


ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად და შერეულად ნაწარმოები პროდუქტების ინფლაციამ გასულ თვესთან შედარებით წლიურად მოიმატა და შესაბამისად, 4.0% და 5.7% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის მატება მეცნილად პურის გაძვირებას უკავშირდება. ხოლო მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივი ინფლაციის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, სტაბილურია და მარცხი 2.4%-ს გაუტოლდა. შერეული ინფლაციის მატება კი ზეთის, კარტოფილის და შოკოლადის გაძვირებას უკავშირდება. იმპორტირებული პროდუქტების ინფლაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და კვლავ დაბალ დონეზე (0.2%), ნარჩუნდება.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2025 წლის წონები	მარ25/თებ25		მარ25/მარ24	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	1.1%	1.1%	3.5%	3.5%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	34.5%	2.8%	1.0%	6.6%	2.3%
სურსათი	31.7%	2.7%	0.9%	6.2%	2.0%
პური და პურპროდუქტები	6.9%	4.8%	0.3%	5.2%	0.4%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.7%	0.1%	1.4%	0.1%
თევზი	0.5%	1.7%	0.0%	3.5%	0.0%
რძე, ყველი და კვერცხი	6.1%	-0.3%	0.0%	2.8%	0.2%
ზეთი და ცხიმო	2.9%	1.1%	0.0%	16.4%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.7%	3.0%	0.1%	-3.3%	-0.1%
ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	7.4%	0.2%	21.3%	0.6%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.9%	6.0%	0.2%	10.8%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	3.2%	0.0%	4.2%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	3.2%	0.1%	10.1%	0.3%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	-0.3%	0.0%	4.2%	0.3%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.7%	1.0%	0.0%	1.5%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.8%	-0.1%	0.0%	1.1%	0.1%
ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	-0.3%	0.0%	-2.1%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.1%	1.7%	0.1%	8.8%	0.7%
ტრანსპორტი	10.9%	-0.2%	0.0%	-0.5%	-0.1%
კავშირგაბმულობა	3.2%	-0.2%	0.0%	-12.4%	-0.5%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.8%	0.1%	0.0%	0.5%	0.0%
განათლება	5.4%	-0.2%	0.0%	4.9%	0.3%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.1%	0.7%	0.0%	6.6%	0.2%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	4.7%	0.2%	0.0%	6.3%	0.3%
მოკლევადიანი მოხმარების საქონელი	60.8%	1.7%	1.0%	4.9%	3.0%
საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი	8.1%	0.0%	0.0%	-1.3%	-0.1%
ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი	5.2%	0.1%	0.0%	0.1%	0.0%
მომსახურება	25.9%	0.3%	0.1%	2.4%	0.6%

წყარო: საქსტატი

საბანკო სექტორი


თებერვალში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 7.1 მლრდ ლარით, 14.1%-ით გაიზარდა და 57.7 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული მონაცემი, თვითურთ ქრილში კი 0.7 მლრდ ლარით შემცირდა. წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.3 მლრდ ლარით (1.0%-ით) შემცირდა და 26.9 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული კლება, სამთავრობო სექტორის დეპოზიტების შემცირებამ (520.6 მლნ ლარით) განაპირობა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, წინა თვესთან შედარებით, 0.4 მლრდ ლარის კლება დაფიქსირდა.

სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


თებერვალში დეპოზიტების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.2 პპ-ით გაიზარდა და 5.9%-ს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.7%-ი შეადგინა, ასევე უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 2.0%-ს გაუტოლდა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.6 პპ-ით შემცირდა და 11.0% შეადგინა. ასევე, შემცირდა აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთები, 0.3 პპ-ით, 2.6%-მდე. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი უცვლელია და 1.4%-ის ნიშნულზე შენარჩუნდა.

დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების დოლარიზაციამ, თებერვალში, 53.1% შეადგინა. თებერვლის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.3 პპ-ით, 66.3%-მდე, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაცია 0.5 პპ-ით, 42.8%-მდე შემცირდა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით, 64.1%-მდე, შემცირდა.

**დამოუკიდებელი დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდებულებების დოლარიზაცია
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


თებერვალში გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 17.4%-ით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, სესხების ზრდის ტემპი 0.5 პპ-ით შემცირდა, რაც როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუდის დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელებამ განაპირობა. კერძოდ, ეროვნული ვალუდით დაკრედიტება წლიურად 22.2%-ით გაიზარდა (რაც წინა თვის შესაბამის მაჩვენებელს 0.8 პპ-ით ჩამორჩება) და მთლიანი სესხების ზრდაში 12.4 პპ წვლილი შეიტანა. თებერვალში დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელება ლარის სამომხმარებლო და ბიზნეს სესხებს უკავშირდება, თუმცა მათი ჯამური კონტრიბუცია დაკრედიტებაში კვლავ მაღალია და 14.4 პპ-ს შეადგენს. რაც შეეხება უცხოური ვალუდის სესხებს, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, წლიურად 11.4%-ით გაიზარდა და მთლიან დაკრედიტებაში 5.1 პპ წვლილი შეიტანა.

**სესხების წლიური ზრდის ტემპი
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სესხები მიზნობრიობის მიხედვით
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით შემცირდა და 13.7% შეადგინა. ეროვნული ვალუდით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 15.8%-ს გაუცოლდა, ხოლო უცხოური ვალუდით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.3 პპ-ით, 9.2%-მდე, გაიზარდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე
გაცემულ სესხებზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სესხებზე (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით გაიზარდა და 12.7%-მდე შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, 0.1 პპ-ით შემცირდა და 13.3%-ს გაუტოლდა. თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით, 9.5%-მდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.4 პპ-ით, 7.8%-მდე შემცირდა.


მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.1 პპ-ით, 43.1%-მდე, შემცირდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით, 63.6%-მდე გაიზარდა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაციამ, 0.1 პპ-ით, 24.7%-მდე მოიკლო. თებერვალში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 10.0 მლნ ლარით შემცირდა და 609.2 მლნ ლარს გაუტოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 48.6% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საგარეო სექტორი


თებერვალში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 6.3%-ით გაუმჯობესდა და 671.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში იმპორტის კლება აღემატებოდა ექსპორტის კლებას, რამაც განაპირობა საგარეო დეფიციტის გაუმჯობესება. აღნიშნულ თვეში, საქონლის იმპორტი წლიურად 6.6%-ით, 1.1 მლრდ აშშ დოლარამდე შემცირდა, ხოლო ექსპორტი წლიურად 7.1%-ით შემცირდა და 431.5 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (თებერვალი 2025)




წყარო: საქსტატი

იმპორტი - თებერვალში საქონლის იმპორტი წლიურად 6.6%-ით შემცირდა, რაც უმეტესად სამომხმარებლო საქონლის იმპორტის კლებით იყო განპირობებული. აღნიშნულის წვლილმა იმპორტის კლებაში -6.0 პპ შეადგინა. საინვესტიციო საქონლის უარყოფითი წვლილი -2.1 პპ იყო. ამასთან, შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტის წვლილი პოზიტიური იყო და 1.5 პპ-ს გაუტოლდა.


სამომხმარებლო საქონლის იმპორტის კლება ძირითადად მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების შემცირებამ განაპირობა. შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტში გაიზარდა ნავთობის აირებისა და ელექტროენერგიის შესყიდვები. ხოლო საინვესტიციო საქონლის იმპორტის კლება მეტწილად საფრენი აპარატების ხარჯზე მოხდა, რომლის იმპორტი მერყევით და თებერვალში არ განხორციელდა. მთლიანობაში, თებერვალში, წლიურად საქონლის იმპორტი რეალურ გამოხატულებაში (რაოდენობრივად, საქონლის ფასის მერყეობის გამორიცხვით) 13.7%-ით შემცირდა.

საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)



წყარო: საქსტატი


ქვეყნების ჭრილში, თებერვალში იმპორტის კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი თურქეთმა შეიძინა, რაც ერთჯერად ფაქტორებს, ნავთობპროდუქტებსა და საცვრითო ავტომობილებს უკავშირდება. აშშ-დან და გერმანიიდან იმპორტის შემცირება მეტწილად მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების კლებამ განაპირობა. გაიზარდა რუსეთიდან ნავთობპროდუქტების შესყიდვები. ჩინეთიდან სხვადასხვა საქონლის შესყიდვების ზრდამ მთლიან იმპორტზე ზრდის მიმართულებით იმოქმედა. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 64% მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ საქონლის ჭრილში, თებერვალში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების იმპორტს ეკავა.

საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (თებერვალი 2025, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 153	ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 95	სამკერძო საშუალებები, 48	
		საძვლეფორთო აპარატები, 21	მიკროავტობუსები, 19
		საფრთხო ავტომობილები, 17	ელექტროენერგია, 11
		ნახშირბადიანი ფოლადის წარმოები, 14	ვაქცინები და იმუნური პროდუქტები, 11
		ნავთობის აირები, 72	

წყარო: საქსტატი


ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (თებერვალი 2025)




წყარო: საქსტატი

ექსპორტი - თებერვალში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 7.1%-ით შემცირდა და 431.5 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა. შემცირებულია ყველა ჯგუფის საქონლის ექსპორტი (სამომხმარებლო, შუალედური და საინვესტიციო). სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან ყველაზე დიდი უარყოფითი წვლილი ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ღვინის და სპირტიანი სასმელების კლებამ განაპირობა. შუალედური მოხმარების საქონლის ექსპორტში, ყველაზე მეტად ფეროშენადნობები შემცირდა. საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება მეტწილად საფრენი აპარატებისა და ბულდოზერების რეექსპორტს უკავშირდება. 2025 წლის თებერვალში საქონლის ექსპორტი რეალურ გამოხატულებაში 15.7%-ით შემცირდა.

საქონლის რეალური ექსპორტი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნიდან საექსპორტო შემოსავლების კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი შეიძლება იქნას, სომხეთსა და აზერბაიჯანში ექსპორტის შემცირებამ, თუმცა საექსპორტო შემოსავლები გაზრდილია ყირგიზეთიდან და ყაზახეთიდან. რუსეთში ექსპორტის შემცირება მეცნილად, ღვინის გაყიდვების კლებას უკავშირდება. აზერბაიჯანში ექსპორტის შემცირება უმეტესად მსუბუქ და საცხირთო ავტომობილებს უკავშირდება. ასევე შემცირებულია თურქეთიდან მიღებული საექსპორტო შემოსავლები, რაც ძირითადად ფეროშენადნობების გაყიდვების კლებამ განაპირობა. აღსანიშნავია, რომ წლიურად 25.5%-ით გაზრდილია ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებული შემოსავლები. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი ექსპორტის 72% მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტის დივერსიფიკაცია უმნიშვნელოდ იყო შემცირებული.


თებერვალში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (36.0%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. შემცირებულია ადგილობრივად წარმოებული საქონლის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებიდან შემცირდა ღვინის ექსპორტი. კვლავ შემცირებას განაგრძობს ფეროშენადნოების გაყიდვებიდან მიღებული საექსპორტო შემოსავლები. ასევე შემცირებულია სპირტიანი სასმელების ექსპორტი. აღნიშნული პროდუქტების გაყიდვის შემცირებამ ჯამურ კლავში 7.6 პპ შეიცვანა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯანგფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის შესაბამისი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით
(თებერვალი 2025, მლნ აშშ დოლარი)

მსუბუქი ავტომობილები, 155.2	სპილენძის მადნები, 30.2		ყურძნის ღვინოები, 16.4
	სპირტიანი სასმელები, 15.1	მინერალური სასუქები, 11.1	თხილი, 9.9
		მინერალური წყლები, 12.0	წყლები დაგაზიანებული, შაქრით, 9.4
		ღორი, 9.4	დრიკოკადის ნაწარმი, 8.4

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის ექსპორტში
(თებერვალი 2025)




წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები - თებერვალში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 5.3%-ით დაიკლო და 252.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 2.0%-ით 28.7 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. წლიურად ფულადი გზავნილების კლება მეცნილად რუსეთიდან გზავნილების შემცირებას უკავშირდება. კერძოდ, თებერვალში, რუსეთიდან გადმორიცხვები წლიურად 44.7%-ით, 30.3 მლნ აშშ დოლარამდე, შემცირდა. თუმცა ზრდას განაგრძობდა აშშ-დან და ისრაელიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები (შესაბამისად, 13.9%, და 6.4%-ით).


ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (43.9%), აშშ (18.8%) და რუსეთი (12.0%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში
(თებერვალი 2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა
(წლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზარი

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.8439-დან 2.8185-მდე (0.9%-ით), ხოლო ევროს მიმართ - 2.9447-დან 2.9354-მდე (0.3%-ით) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.8172 და 2.9510 შეადგინა. თებერვალში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.8563 იყო, მინიმალური კი - 2.7813.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები თანაბრად იყო გადახრილი.

საშუალოდ, დოლართან მიმართებაში შესამჩნევია თურქული ლირის გაუფასურება; შესამჩნევად გამყარდა რუსული რუბლი, ასევე გამყარებით ხასიათდებოდა ლარი, ევრო და სომხური დრამი; აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 8.4%-ით, თვის წრილში კი 1.0%-ით გაუფასურდა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიურად 1.7%, თვის წრილში კი გაუფასურება 0.6%-ია.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება.

სავაჭრო პარტნიორთან თებერვალში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, აზერბაიჯანში, ბელარუსში, აშშ-სა და სომხეთში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო ევროზონაში - დაბალი.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალი ნარჩუნდება.

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (თებერვალი 2025; ზრდა=გაუფასურება)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური
გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვ 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები
(თებერვალი 2025)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


თებერვალში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 15 ბანკი და 7¹ არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვითრად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირებულია და დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საპაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონსენსუსის გარეგან-
მაგნიტის 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების
მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თვითრად გაზრდილია, ხოლო წლიურად შემცირებული. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 87.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 1.9 მლნ აშშ დოლარით გაზრდილი, წინა წლის თებერვალთან შედარებით კი - 100.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 4.6%-ით გაიზარდა, წლიურად კი 21.4%-ით შემცირდა.

სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ² გარიგებებით ხდებოდა (99.4%) და მთლიანმა ვაჭრობამ 2,789.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 183.3 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში 184.1 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნულ ბანკს თებერვლის თვეში სავალუტო ბაზარზე ინტერვენცია არ განუხორციელებია.

1 რომელიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.
2 სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი ბაზარი

თებერვალში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიყა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 300.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. თებერვალში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი, რვანწლიანი და თორმეცწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 50, 50, 40, 80, 50 და 30 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 31.8 მლნ ლარით გაიზარდა და 10,035.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 70.5%-ს კომერციული ბანკების, 15.2%-ს ეროვნული ბანკის, 12.8%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.5%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები ფაქტობრივად არ შეცვლილა. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები მეტწილად შეიცვალა. კერძოდ, თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 7.5%-ს შეადგენდა. ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა და 7.5% შეადგინა, ხოლო ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 7.6%-მდე შემცირდა. რაც შეეხება სამწლიან სახაზინო ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთს 0.1 პპ-ით შემცირდა და 8.5% შეადგინა. ხუთწლიან სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი ფაქტობრივად არ შეცვლილა და 8.6%-ზე შენარჩუნდა. ხოლო ათწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით გაიზარდა და 8.9% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 3,128.3 მლნ ლარით (წლიურად 4,583.8 მლნ ლარით) 18,694.4 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც უცხოური ვალუდის რესურსით ზრდით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (82.5%), რომლის მოცულობაც თვიურად 3,376.2 მლნ ლარით (28.0%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 247.9 მლნ ლარით (7.0%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვიურად 0.2 პპ-ით შემცირდა და 8.2% შეადგინა. უცხოური ვალუდის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით შემცირდა და 1.9% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ თებერვალში ფულადი ბაზრის რესურსის 46.9% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 59.1% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მონეტარული აბრეგატები

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 47.7 მლნ ლარით (0.7%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 7.0 მლნ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა, საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან შედარებით, 111.9 მლნ ლარით (1.5%-ით) შემცირდა.

სავალუტო აუქციონებით და BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკს სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 147.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 147.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.


თებერვალში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 184.7 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 987.4 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი აგრეგატი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნაღდ ფულზე მოთხოვნა 20.9 მლნ ლარით გაიზარდა. რეფინანსირების სესხებმა, წინა თვესთან შედარებით, 200.0 მლნ ლარით მოიმატა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 438.0 მლნ ლარით გაიზარდა. თებერვალში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და იმავე პერიოდში დაიფარა იგივე ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, თებერვალში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 738.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 7,373.6 მლნ ლარს გაუცოლდა.


თებერვალში, ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვიურად 404.5 მლნ ლარით შემცირდა. აღნიშნული გამოწვეულია უმთავრესად, უცხოური ვალუტის დეპოზიტების შემცირების გავლენით. რაც შეეხება ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 150.9 მლნ ლარით გაიზარდა.

საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული ოპერაციები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

